ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის ოქმი #69

2 დეკემბერი, 2021 წელი
13:00 საათი
(კომისიის თავმჯდომარის ოთახი)

ა/წ 2 დეკემბერს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.
სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე;
2. მიხეილ ამაშუკელი;
3. ვლადიმერ ძნელაძე;
4. მიხეილ მესხი;
5. ლილე ლიპარტელიანი.

სხდომის დღის წესრიგი:

- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი ბირბიჩაძის 2017-2021 წლის ანგარიში.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ბირბიჩაძემ მიმდინარე სხდომაზე, საკრებულოს წევრებს, სიტყვით მიმართა და ოთხწლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

გიორგი ბირბიჩაძემ ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით ამჟამად მოქმედი პროგრამები მიმოიხილა, განსაკუთრებული ყურადღება იმ ახალ პროგრამებზე გაამახვილა, რომლებიც 2017-2021 წლების პერიოდში ამოქმედდა, ასევე ისაუბრა პროგრამებზე, რომლებსაც ახალი კომპონენტები დაემატა.

კომისიის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჯანდაცვის მიმართულებით არსებულ ღვიძლის ტრანსპლანტაციის, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების, გაფანტული სკლეროზისა და ალერგიადებათა სკრინინგის პროგრამას. სოციალური მიმართულებით კი სოციალური მზრუნველობის სააგენტოს, საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსებისა და უსახლკარო ოჯახებისთვის საცხოვრებელი ფართის შეძენის პროგრამების მნიშვნელობა აღინიშნა.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ბირბიჩაძე